

ირაკლი მჭედლიშვილი, მაკა წონკოლაური, ნატალია გარუჩავა, რუსუდან ჩოჩიშვილი

ცოფი საქართველოში თანამედროვე ეტაპზე

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, ეპიდემიოლოგიისა და ბიოსტატისტიკის
დეპარტამენტი, თბილისი, საქართველო

Doi: <https://doi.org/10.52340/jecm.2024.04.10>

IRAKLI MCHEDLISHVILI, MAKA TSOTSKOLAURI, NATALIA GARUCHAVA,
RUSUDAN CHOCHISHVILI

RABIES IN GEORGIA AT THE MODERN STAGE

Tbilisi State Medical University, Department of Epidemiology and Biostatistics, Tbilisi, Georgia

SUMMARY

The dynamics of rabies morbidity in Georgia was studied based on data from 2007-2023. In this period, the most cases of rabies occurred in 2007 - 10. Between 2007 and 2014, an average of 5 people fell ill annually.

In the years 2015-2023, the spread of infection decreased sharply, and during this period only 1 case of the disease was observing on average annually. In some years, not a single case of infection was detected. The disease was most often observed in 30-59 age group, where the incidence rate was also the highest.

Against the backdrop of a decline in the spread of rabies among humans, the number of cases among animals has increased, with the highest number of cases recorded in 2023. In particular, the number of cases has increased in dogs, including both domestic and stray dogs, which are the main source of rabies infection in the country. These processes can lead to an increase in rabies morbidity in humans as well.

Keywords: Rabies, Georgia, Epidemiology

ცოფი კვლავ რჩება ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინფექციურ დაავადებად, რაც განპირობებულია რიგი ფაქტორებით. უპირველეს ყოვლისა, ეს არის დაავადება, რომელიც 100%-იანი ლეტალობით ხასიათდება. ყოველწლიურად მსოფლიოში ამ ინფექციით კვდება დაახლოებით 59-60 ათასი ადამიანი [1,4]. აქედან 40% 15 წლამდე ასაკის ბავშვია. დაავადება ყველაზე ფართოდ გავრცელებულია აზიის და აფრიკის კონტინენტებზე, განსაკუთრებით კი ინდოეთში, სადაც ყოველწლიურად ცოფით 21 ათასი ადამიანი კვდება [5]. ის ასევე საკმაოდ ხშირია მსოფლიოს ყველაზე მრავალრიცხოვანი მოსახლეობის მქონე ქვეყანაში - ჩინეთში. 2004-2018 წლებში ამ ქვეყანაში ცოფით 26 715 ადამიანი გარდაიცვალა. საშუალოდ, წლიურად - 1 754. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო წლებში გარდაცვლილთა რიცხვი მცირდება. თუ 2007 წელს გარდაიცვალა 3 300 ადამიანი, 2018 წელს - მხოლოდ 422 [3].

საკმაოდ იშვიათია ცოფი ევროპაში. ძირითადად ადამიანები ინფიცირდებიან განვითარებად ქვეყნებში მოგზაურობის დროს. მაგალითად 2019 წელს ევროკავშირის ქვეყნებში ცოფის 5 შემთხვევა აღინიშნა. აქედან 4 დაინფიცირდა ევროპის გარეთ - ტანზანიაში, ინდოეთში, მაროკოსა და თილიპინებზე. მხოლოდ ერთადერთი ადგილობრივი შემთხვევა აღინიშნა საფრანგეთში [2].

კვლევის მიზანია თანამედროვე პირობებში ცოფის გავრცელების შესწავლა საქართველოში.

კვლევის მასალა და მეთოდები: კვლევის მასალები აღებულია დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრიდან და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის უვნებლობის სააგენტოდან. მონაცემთა ანალიზისთვის გამოვიყენეთ აღწერილი ეპიდემიოლოგიური კვლევის მეთოდი.

მიღებული შედეგები და მათი განსჯა: უპირველეს ყოვლისა, შევისწავლეთ ცოფით ავადობის დინამიკა 2007-2023 წლების მონაცემების საფუძველზე. ცოფის ყველაზე მეტი შემთხვევა ქვეყანაში 2007 წელს აღირიცხა, როდესაც 10 ადამიანს დაესვა ამ ინფექციის დიაგნოზი. მომდევნო პერიოდში 2014 წლის ჩათვლით 3-7-ს შორის მერყეობდა, რაც საქართველოსთვის ცოტა სულაც არ არის. 2015 წლიდან ეპიდემიოლოგიური სიტუაცია მკვეთრად შეიცვალა. 2015, 2016, 2017 და 2020 წლებში ცოფით არცერთი ადამიანი არ დაავადებულა, ხოლო დანარჩენ წლებში ავადდებოდა 1 ან 2.

თუ 2007-2014 წლებში ცოფით საქართველოში 42 ადამიანი დაავადდა, ანუ წლიურად საშუალოდ 5.25 ადამიანი, 2015-2023 წლებში მხოლოდ 9 შემთხვევა გამოვლინდა, ანუ წლიურად მხოლოდ 1 ადამიანი ხდებოდა ავად. საანალიზო პერიოდის მეორე ნახევარში ცოფით ავადობის დონე ქვეყანაში 5-ჯერ შემცირდა, რაც ეპიდემიოლოგიური სიტუაციის რადიკალურ გაუმჯობესებაზე მიუთითებს.

ჩვენს მიერ ასევე შესწავლილ იქნა ცოფით დაავადებულთა ასაკობრივი სტრუქტურა, როგორც ხვედრითი წილის მიხედვით, ისე ავადობის მაჩვენებლების მიხედვით. როგორც ლიტერატურულ მიმოხილვაში აღინიშნა, მსოფლიოში შემთხვევათა 40% მოდის 15 წლამდე ასაკის ბავშვებზე. საქართველოში მათზე შემთხვევების მხოლოდ 7.5% მოდის. 5 წლამდე ასაკის ბავშვებში კი საანალიზო პერიოდში დაავადების არცერთი შემთხვევა არ გამოვლენილა. დაავადება ყველაზე გავრცელებულია 30-59 წლის ასაკობრივი ჯგუფის პირებში. მათზე გამოვლენილი შემთხვევების ნახევარზე მეტი - 55% მოდის. ავადობის მაჩვენებლითაც ამ ჯგუფს ეკუთვნის პირველი ადგილი.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ბოლო წლებში ცოფით ავადობის დონე მკვეთრად შემცირდა, მაინც არის გარკვეული ასპექტები, რომელთა მოწესრიგების გარეშე ვერ მოხდება ქვეყანაში ცოფის ელიმინაცია. უპირველეს ყოვლისა, ეს არის ცხოველებში ცოფის გავრცელების მასშტაბების ზრდა ბოლო პერიოდში. მაგალითად, 2019 წელს საქართველოში ცოფის 50 შემთხვევა დაფიქსირდა ცხოველებში. მათ შორის 31 შემთხვევა გამოვლინდა ძაღლებში. 2020 წელს დაავადდა 54 ცხოველი, 2021 წელს - 40. 2022 წელს - 31, 2023 წელს კი 81 ცხოველი, ანუ 2.6-ჯერ მეტი ვიდრე გასულ წელს.

ცოფით დაავადებულ ცხოველებს შორის ინფექცია ყველაზე მეტად გავრცელებული იყო ძაღლებში - 68%. საინტერესოა, რომ ინფექცია სასოფლო-სამეურნეო ცხოველებშიც საკმაოდაა გავრცელებული. შემთხვევათა 29.6% სწორედ მათზე მოდის. თუმცა მათთან შედარებით ძაღლები ბევრად უფრო აგრესიულები არიან. მაგალითად, გასულ წელს, ერთ-ერთმა ცოფიანმა ძაღლმა 2 ათეულზე მეტი ადამიანი დაკბინა.

აღნიშნულის ფონზე, გასაკვირი არ არის, რომ ქვეყანაში ყოველწლიურად იზრდება იმ ადამიანთა რაოდენობა, რომელთაც სჭირდებათ ცოფის პოსტექსპოზიციური ანტირაბიული პრევენცია. 2023 წელს ასეთი დახმარება სარეკორდო რაოდენობის ადამიანს დასჭირდა - 64 851-ს. საინტერესოა, რომ მათ უმრავლესობას აცრების ჩატარება დასჭირდა პატრონიანი ძაღლების და კატების კბენის შემდეგ (61.4%), რაც იმაზე მიუთითებს, რომ ძალიან ბევრი ადამიანი ნაკლებად ზრუნავს საკუთარი ცხოველების ჯანმრთელობაზე და არ უტარებს მათ ანტირაბიულ ვაქცინაციას.

მიუხედავად იმისა, რომ ყოველწლიურად იზრდება იმ ცხოველთა რაოდენობა, რომლებიც იცრებიან შესაბამისი ორგანოების მიერ და ბოლო წლებში მათი რიცხვი თითქმის 300 ათასია, ვფიქრობთ, რომ უფრო უნდა გააქტიურდეს ცოფის წინააღმდეგ ბრძოლა, როგორც ადამიანებში, ისე, განსაკუთრებით ცხოველებში და მათ შორის შინაურ ცხოველებში. ამისათვის საჭიროდ მიგვაჩნია:

- მოსახლეობაში საგანმანათლებლო მუშაობის გაძლიერება, რათა ყველა პატრონიან შინაურ ცხოველს (განსაკუთრებით ძაღლებს და კატებს) ჩაუტარდეთ ყოველწლიური ანტირაბიული ვაქცინაცია;

- მოხეტიალე უპატრონო ცხოველების რაოდენობის შემცირება მათი კასტრაციით;
- ინფექციის კერებში შინაური ცხოველების დროული და სრული იძულებით ვაქცინაცია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. C Liu, JD Cahill - Epidemiology of rabies and current US vaccine guidelines. R.L. Med.J. (2013). 2020, Aug 3; 103 (6):51:53;
2. Rabies. Annual Epidemiological Report for 2019;
3. Qiao L.C., Wang F., He Y.L., et al. Regional and age difference of Human Rabies prevalence of the past fourteen years in China. Prev. Vet. Med. 2021, Feb., 187:105161
4. WHO. Rabies. June, 2024;
5. Yale G. , Lopes M., Isloor Sh. et al. Review of Oral Rabies Vaccination of Dogs and Its Application in India. Viruses, 2022, Jan, 14;14(1):155.

ირაკლი მჭედლიშვილი, მაკა ნონკოლაური, ნატალია გარუჩავა, რუსუდან ჩოჩიშვილი
ცოფი საქართველოში თანამედროვე ეტაპზე
 თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, ეპიდემიოლოგიისა და ბიოსტატისტიკის
 დეპარტამენტი, თბილისი, საქართველო

რეზიუმე

შესწავლილ იქნა ცოფით ავადობის დინამიკა საქართველოში 2007-2023 წლების მონაცემების საფუძველზე. ამ პერიოდში ცოფის ყველაზე მეტი შემთხვევა გამოვლინდა 2007 წელს - 10. 2007 -2014 წლებში ყოველწლიურად საშუალოდ 5 ადამიანი ხდებოდა ავად. 2015 -2023 წლებში კი ინფექციის გავრცელება მკვეთრად შემცირდა და ამ პერიოდში საშუალოდ დაავადების მხოლოდ 1 შემთხვევა ვლინდებოდა. ზოგიერთ წელს კი ინფექციის არც ერთი შემთხვევა არ გამოვლენილა. დაავადება ყველაზე ხშირად 30-59 წლის პირებში ვლინდებოდა, ასევე მათში ყველაზე მაღალი იყო ავადობის მაჩვენებელი.

ადამიანებში ცოფის გავრცელების მასშტაბების შემცირების ფონზე გაიზარდა შემთხვევების რაოდენობა ცხოველებში და 2023 წელს მათში დაავადების ყველაზე მეტი შემთხვევა აღირიცხა. განსაკუთრებით იმატა შემთხვევათა რაოდენობამ ძაღლებში, მათ შორის, როგორც პატრონიან, ისე უპატრონო ძაღლებში, რომლებიც ქვეყანაში ცოფის ძირითად ინფექციის წყაროს წარმოადგენენ. აღნიშნულმა პროცესებმა შეიძლება გამოიწვიოს ცოფით ავადობის ზრდა ადამიანებშიც.

ИРАКЛИЙ МЧЕДЛИШВИЛИ, МАКА ЦОЦКОЛАУРИ, НАТАЛЬЯ ГАРУЧАВА,
РУСУДАН ЧОЧИШВИЛИ

БЕШЕНСТВО В ГРУЗИИ НА СОВРЕМЕННОМ ЭТАПЕ

Тбилисский государственный медицинский университет, Департамент Эпидемиологии и биостатистики. Тбилиси, Грузия

РЕЗЮМЕ

Было изучено динамика заболеваемости бешенством в Грузии на основе данных за 2007-2023 годы. В этот период наибольшее количество случаев бешенства было выявлено в 2007 году – 10. По 2007 - 2014 год ежегодно в среднем заболевали 5 человек.

В 2015-2023 годах распространение инфекции резко снизилось, и за этот период в среднем выявлялся только 1 случай заболевания. В отдельные годы не было выявлено ни одного случая заражения. Заболевание чаще всего наблюдалось у людей в возрасте 30-59 лет, среди них уровень заболеваемости был самым высоким.

На фоне снижения масштабов распространения бешенства среди людей число случаев заболевания среди животных увеличилось, и в 2023 году был зафиксирован наибольшее количество случаев заболевания. В частности, возросло количество случаев заболевания собак, в том числе как домашних, так и бездомных, которые являются основным источником заражения бешенством в стране. Эти процессы могут привести к увеличению заболеваемости бешенством и человека.

